ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. ნოემბრის 5. № 19 ტფილისი

## შინაარსი

სახელმწიფო დაზღვევა

267. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

268. 1934 წლისთვის თამბაქოს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმების შეცვლის შესახებ.

---

## სახელმწიფო დაზღვევა

### 267. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.**

„სოფლებსა და ქალაქებში 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 17-ის დადგენილებისა (სსრკ. ცენ. აღმ. კომ. „იზვესტიას“ 179 №-ი) და ა/კსფსრ სოფლებსა და ქალაქებში 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 28-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკას“ 173 №-ი) თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩასატარებლად საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში.

## I. რა ქონება და რა უბედურებისაგან იზღვევა

### 1. სავალდებულო-საგანაკვეთო დაზღვევით იზღვევა შემდეგი ქონება:

ა. კოლექტიურ მეურნეობებში (ხასოფლო-სამეურნეო კომუნებში, მიწის ერთად დამმუშავებელ ამხანაგობებში და აგრეთვე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებიც შედიან „რიბაკკოლხოზცენტრ“-ის სისტემაში):

ა) შენობები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმონი (გაწყობილობით), მთელი ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი, მთელი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქცია (სათესლე, სასურსათო და სასაქონლო) და აგრეთვე ნედლეული, მარაგი და მასალა ცეცხლისაგან და შემდეგი სტიქიური უბედურებისაგან: წყალდიდობისა, მიწის ძვრისა, ზვავისა, მეწყერისა, ქარიშხალისა, გრიგალისა, ნიაღვარისა, მეხის დაცემისა და ორთქლის ქვაბის აფეთქებისაგან;

ბ) სათბურების ჩარჩოები—დასეტყვით მიყენებული ზარალისაგან;

გ) სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ნათესები—დასეტყვისაგან და აგრეთვე ნიაღვარისა და ქარიშხალისაგან, რაც თან მოჰყვა დასეტყვას;

დ) ბამბის, თამბაქოს, სოიას, კენაფის, აბუსალათინის, არახისის, კუნჯუთის, სუძას, რამის და სამხრეთის კანაფის ნათესები—მოუსავლობისაგან;

ე) სელისა და კანაფის ნათესები—გვალვისაგან;

ვ) სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესები—ცეცხლისაგან ძირზე;

ზ) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 წლიდან—სიკვდილისაგან;

თ) ცხენი, აქლემი და ვირი 2 წლიდან—სიკვდილისაგან;

ი) ცხვარი, თხა და ღორი 6 თვიდან—სიკვდილისაგან;

კ) ყოველგვარი ჯიშიანი ცხოველი 6 თვიდან—სიკვდილისაგან;

ლ) სათევზაო ნავჭურჭელი—ყოველგვარი სტიქიური უბედურებისაგან ცურვის და გაჩერების დროს;

მ) სათევზაო იარაღი (ბადე და სხვა)—ყოველგვარი უბედურებებისაგან თევზის ჭერის დროს.

ბ. კოლმეურნეთა მეურნეობებში (მეურნეობის არაგანსაზოგადოებული ნაწილი), ინდივიდუალურ შრომით მეურნეობებში, მუშების, მოსამსახურეების, შინამრეწველების, ხელოსნების და სხვა მშრომელების მეურნეობებში დაიზღვევა:

ა) შენობები და საშინამრეწველო-სარეწაო სახელოსნოები (გაწყობილობით)—ცეცხლისაგან, წყალდიდობისა, მიწის ძვრისა, ზვავისა, მეწყერისა, ქარიშხალისა, გრიგალისა, ნიაღვარისა და მეხის დაცემისაგან;

ბ) არ დაიზღვევა;

გ) სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესები—და სეტყვისაგან და აგრეთვე ნიაღვარისა და ქარიშხალისაგან, რაც თან მოჰყვა დასეტყვას;

დ) ბამბის, თამბაქოს, სოიას, კენაფის, აბუსალათინის, არახისის, კუნჯუთის, სუძას, რამის და სამხრეთის კანაფის ნათესები—მოუსავლობისაგან;

ე) სელისა და კანაფის ნათესები—გვალვისაგან;

ვ) არ დაიზღვევა;

ზ) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 წლიდან—სიკვდილისაგან;

თ) ცხენი, აქლემი და ვირი, 2 წლიდან—სიკვდილისაგან;

ი) არ დაიზღვევა;

კ) არ დაიზღვევა;

ლ) სათევზაო ნავჭურჭელი—ყოველგვარი სტიქიური უბედურებისაგან ცურვის და გაჩერების დროს;

მ) არ დაიზღვევა.

შენიშვნა. „ლ“ და „მ“ პუნქტებით გათვალისწინებული დაზღვევა სათევზაო ნავჭურჭელისა და სათევზაო იარაღისა სწარმოებს შავ ზღვაზე და პალეოსტომის ტბაზე.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სახის დაზღვევა ჩატარებულ უნდა იქნეს ყველა იმ ადგილას, სადაც ეს დაზღვევა აქამდე გატარებული იყო (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 272; 1932 წ. მე-18 №-ი, მუხ. 143).

3. მოუსავლობისაგან დასაზღვევ თამბაქოს ნათესებისათვის დაწესდეს დამატებითი დაზღვევა სეტყვისაგან—პასუხისმგებლობით მხოლოდ პროდუქციის თვისების შემცირებისათვის.

4. არ იზღვევა ის ქონება, რაც ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილ კულაკურ მეურნეობებს, იმ პირთ, რომელნიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგის მიხედვით, და აგრეთვე იმათ, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება.

## II. რა თანხით უნაზღაურდებათ დამზღვევლებს ზარალი.

5. ცეცხლით და სხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული შენობებისა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებისა (გაწყობილობით), ინვენტარისა, სატრანსპორტო საშუალებებისა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციისა, ნედლეულისა, მარაგისა და მასალის ზარალისათვის და აგრეთვე სათევზაო ნავჭურჭლების დაღუპვით გამოწვეული ზარალისათვის (1-ლი მუხლის ა ლიტ. „ა“ ® „ლ“ პუნქტი) კოლექტიურ მეურნეობებს სადაზღვეო საზღაური ეძლევათ ქონების სრული ღირებულებით საინვენტარო აღწერილობის კვალობაზე. სათევზაო იარაღების ზარალისათვის სადაზღვეო საზღაური ეძლევათ საინვენტარო აღწერილობის 75%-ის ღირებულებით. კოლმეურნეობებს შეუძლიათ დააზღვეონ თავიანთი შენობები, საწარმონი, გაწყობილობა და ინვენტარი საინვენტარო ღირებულებაზე მეტადაც დამზღვევი ორგანოების შეფასებით.

კოლმეურნეებს, ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს, შინამრეწველებს, ხელოსნებს, მუშებს, მოსამსახურეებს და სხვა მშრომელთ ცეცხლით და სხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული შენობებისა და სამრეწველო სარეწაო სახელოსნოების (გაწყობილობით) ზარალისათვის (1-ლი მუხლის ბ ლიტ. „ა“ პუნქტი) სადაზღვეო საზღაური ეძლევათ შემდეგი რაოდენობით:

ა) კოლმეურნეებს, მუშებს და მოსამსახურეებს—ქონების სრული ღირებულება დაზღვევის შეფასების მიხედვით;

ბ) ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს, შინამრეწველებს, ხელოსნებს და სხვა მშრომელთ—შეფასების 90%.

სათევზაო ნავჭურჭლის დაღუპვით გამოწვეული ზარალისათვის სადაზღვეო საზღაური ეძლევათ დაზღვევის შეფასების 75%-ის რაოდენობით.

6. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების სეტყვისაგან და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სიკვდილისაგან დაზღვევისათვის სადაზღვეო საზღაური გაიცემა იმ მტკიცე ნორმების მიხედვით, რაც აღნიშნულია 1-ლ და მე-2 დანართში.

7. კოლმეურნეობებს შეუძლიათ დააზღვიონ თავიანთი ცხოველი სრულ მის ღირებულებამდეც საინვენტარო აღწერილობით და აგრეთვე საინვენტარო ღირებულების მეტი რაოდენობითაც დამზღვევი ორგანოების შეფასების მიხედვით. კოლმეურნეობების ჯიშიანი ცხოველი აუცილებლად დაიზღვევა სრული მისი ღირებულებით.

8. კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეებს შეუძლიათ დააზღვიონ თავიანთი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენები ხნოვანებით 12 წლამდე მტკიცე ნორმების მეტადაც: რქოსანი საქონელი—საკონვენციო ფასების ფარგლებში, ხოლო ცხენები—სახელმწიფო ნასყიდობის ფასების ფარგლებში.

იმის შესახებ, რომ მათ ჰსურთ დააზღვიონ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენები მტკიცე ნორმების მეტად, კოლმეურნეებმა და ინდივიდუალურმა მშრომელმა მეურნეებმა უნდა განუცხადონ რაიონის დამზღვევ ინსპექტორს არა უგვიანეს 1933 წლის დეკემბრის 31-ისა.

9. უკეთუ კოლექტიურ მეურნეობაში ხანძრით განადგურდა ან დაზიანდა ძირზემდგარი სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესები, სადაზღვეო საზღაური გაიცემა იმ ნორმების კვალობაზე, რაც დაწესებულია სეტყვისაგან, გვალვისაგან ან მოუსავლობისაგან დაზღვევისათვის იმისდამიხედვით, თუ რა სახის დაზღვევით იყო დაზღვეული ნათესი.

10. სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესის მოუსავლობისაგან დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური გაიცემა დანაკლი მოსავლის ღირებულების რაოდენობით მტკიცე სადამზადებლო ფასების კვალობაზე.

მოსავლის დანაკლად ითვლება განსხვავება, რაც არსებობს მეურნეობის მიერ მთლად დაზღვეული კულტურის ფართობზე მიღებულ ნამდვილ მოსავალსა და იმ მოსავალს შორის, რაც გამოანგარიშებულია უწყებული ადგილისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმების კვალობაზე.

რათა მეურნეობა უფრო დაინტერესებული იყოს—მიიღოს დიდი მოსავალი და შეასრულოს ნათესის მოვლასთან დაკავშირებული ყველა საჭირო სამუშაო, (სავალდებული აგრონომიული წესები) სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესის მოუსავლობისაგან დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები დაწესებულია საგეგმო მოსავლიანობის არა სრული რაოდენობით. ამ ნათესის დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები აღნიშნულია მე-3 დანართში.

11. სელისა და კანაფის გვალვისაგან დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური გაიცემა დანაკლი მოსავლის ღირებულების რაოდენობით მტკიცე სადამზადებლო ფასების კვალობაზე.

მოსავლის დანაკლად ითვლება განსხვავება, რაც არსებობს მეურნეობის მიერ მთლად დაზღვეულ ნათეს ფართობზე ნამდვილად მიღებულ მოსავალსა და იმ მოსავალს შორის, რაც გამოანგარიშებულია პასუხისმგებლობის ზღვარული ნორმების კვალობაზე. ამასთანავე, უკეთუ მოსავლის დაკლებაზე იმოქმედა, გვალვის გარდა, სხვა სტიქიურმა მოვლენამ, ამ მოვლენით გამოწვეული ზარალი არ აინაზღაურება. სელისა და კანაფის დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვარული ნორმები აღნიშნულია მე-4 დანართში.

12. სადაზღვეო საზღაური, თანახმად ამა დადგენილებისა, გაიცემა იმ ზარალისათვის, რაც მოხდება 1934 წლის იანვრის 1-დან 1934 წლის დეკემბრის 31-მდე—თანჩართვით.

13. ზარალი აინაზღაურება დაწესებული ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული სრული თანხის რაოდენობით მხოლოდ მაშინ, უკეთუ დაიღუპა მთელი ქონება; ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში გაიცემა ამ თანხის სათანადო ნაწილი.

14. ზარალი ანაზღაურებულ უნდა იქნეს შემდეგ ვადებზე აქტების დამტკიცებისას:

| | |
|---|---|
| კოლექტიურ მეურნეობებს . . . . . . . . | არა უგვიანეს 5 დღისა |
| კოლმეურნეებს, მუშებს და მოსამსახურეებს | „ „ 10 „ |
| ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეებს, შინამრეწველებს, ხელოსნებს და სხვა მშრომელთ . . . | „ „ 15 „ |

ზარალის აქტები სარაიონო დამზღვევმა კომისიამ ან სათანადო დამზღვევმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს 10 დღის განმავლობაში მიღების დღიდან.

15. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვეო საზღაურის თანხაზე არ შეიძლება მიიქცეს არავითარი გადახდევინება, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადისა და ამ გადასახადის ნარჩენის გარდა.

16. კოლექტიური მეურნეობისა, კოლმეურნისა და ინდივიდუალური მშრომელი მეურნის ბრალით მომხდარი ზარალი,—ე. ი. როგორც აშკარა უმუყაითობისა, საზოგადოებრივი საკუთრების არდაცვისა, სახანძრო წესების შეუსრულებლობისა, აგრეთვე დამაზღვეველის განზრახი მოქმედებისა, ცეცხლისადმი უხეში გაუფრთხილებლობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველის დაუზოგველი ექსპლოატაციის შედეგი,—არ აინაზღაურება (სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1933 წლ. მაისის 28-ს დამტკიცებული სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესების მე-14, 15, 16 და 17 §§—სსრკ კან. კრ. 1933 წ. 34 №-ი, მუხ. 201-ბ).

## III. სადაზღვეო გადასახადი.

17. კოლექტიური მეურნეობებისათვის დაწესებულია სადაზღვეო გადასახადის შემდეგი განაკვეთები (ტარიფები) სადაზღვეო თანხის პროცენტობით:

ცეცხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან შენობისა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოს, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პრო-

დუქციისა, ნედლეულისა, მარაგისა და მასალის დაზღვევისათვის: სოფლად—0,5%, ხოლო ქალაქად—0,3%;

ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისათვის—0,3%;

სათევზაო ნავჭურჭელთა დაზღვევისათვის—2%;

სათევზაო იარაღის დაზღვევისათვის—3%.

**შენიშვნა. 1.** კოლმეურნეობის საველე და სამინდვრე პროდუქციის ცეცხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან დაზღვევისათვის სადაზღვეო გადასახადი არ გადაიხდევინება იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია ნათესების სეტყვისაგან დაზღვევა.

**შენიშვნა 2.** ნათესის დაზღვევის სადაზღვეო გადასახადი გამოიანგარიშება თვითეულ მეურნეობაზე საგაზაფხულო ნათესის იმ ფართობის მიხედვით, რაც დადგენილია მისთვის 1933 წლის თესვის გეგმისა და მისავე საშემოდგომო კულტურების (1932 წ. შემოდგომაზე დათესილი) და მრავალწლიანი ნარგავების (ბაღი, ვენახი და სხვა მისთ.) ფართობის მიხედვით.

**18.** ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის დაწესებულია სადაზღვეო გადასახადის შემდეგი განაკვეთები სადაზღვეო თანხის პროცენტობით:

შენობისა და საშინამრეწველო-სარეწაო სახელოსნოს (გაწყობილობით) დაზღვევისათვის ქალაქად—0,7%;

სათევზაო ნავჭურჭელის დაზღვევისათვის—4%.

**19.** სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დასეტყვისა და მოუსავლობისაგან, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ცხოველის სიკვდილისაგან დაზღვევისათვის დაწესებული სადაზღვეო გადასახადის განაკვეთები აღნიშნულია მე-5, 6 და 7 დანართში.

**20.** სელისა და კანაფის ნათესის გვალვისაგან და სამხრეთის კანაფის მოუსავლობისაგან დაზღვევისათვის გადასახადი არ გადაიხდევინება.

## IV. სადაზღვეო გადასახადის გადახდის ვადები.

**21.** სადაზღვეო გადასახადის გადასახდელად დაწესებულია შემდეგი ზღვრული ვადები რესპუბლიკაში გამოანგარიშებული სადაზღვეო გადასახადის საერთო თანხის პროცენტობით:

ა) კოლექტიური მეურნეობებისათვის 50%—1933 წ. ნოემბრის 1-დე
50%—1933 წ. დეკემბრის 15-დე

ბ) კოლმეურნეებისა და ინდივ. მშრ. 50%—1933 წ. ნოემბრის 1-დე
მეურნეობებისათვის . . . . . . . . 50%—1933 წ. დეკემბრის 1-დე

**22.** სათევზაო ნავჭურჭლისა და თევზის საჭერი იარაღის დაზღვევის სადაზღვეო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს მთლიანად არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 1-ისა.

23. ვადაზე შეუტანელი სადაზღვეო გადასახადი გადაირიცხება ნარჩენად და გადაიხდევინება იმ წესით, რაც დადგენილია გადასახადების გადახდევინებისათვის. ნარჩენზე დაირიცხება საურავი შემდეგი რაოდენობით (დღიურული ვადაგადაცილებული დღისთვის): ა) 0,1%—კოლექტიურ მეურნეობებს, ბ) 0,2%—კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეობებს.

## V. კოლექტიური მეურნეობების შეღავათები.

### ა. შეღავათები მეცხოველეობის განვითარების მიზნით.

24. მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელშესაწყობად და საქონლიანობის გასადიდებლად კოლექტიურ მეურნეობებს ენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) ჯიშიანი ცხოველების დაზღვევაზე დადგენილია გადასახადის 20%-ით დაკლება;

ბ) სასაქონლო ფერმებში ცხენისა, მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ღორისა, ცხვრისა და თხის დაზღვევაზე დაწესებულია გადასახადის დაკლება 2%-ის რაოდენობით; ეს მონაკლები ვრცელდება როგორც ჯიშიან (პირველი მონაკლების დამატებად), ისე სხვა ცხოველზე;

გ) იმ მოწინავე კოლექტიურ მეურნეობას, რომელსაც აქვს საუკეთესო მაჩვენებლები ცხოველთა რაოდენობის დაცვისა და განვითარების საქმეში (საკოლმეურნეო ნახირის და ჯოგის მატება მონაშენის გამოზრდით, ცხოველთა გაწყდომის მოსპობა, საქონლისათვის დამთბარი ბაკების ქონა, ცხოველთა კარგად გამოკვება და მოვლა, წესიერი ექსპლოატაცია და სხვა მისთ.), სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაზღვევაზე ეძლევა შეღავათი გამოანგარიშებული სადასაზღვეო გადასახადის თანხის დაკლებით 25%-დე. ამ მონაკლების რაოდენობას ცალკეულ კოლმეურნეობისათვის აწესებს სარაიონო დამზღვევი კომისია.

### ბ. შეღავათები ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის გაუმჯობესებისა და ცეცხლმძლე მშენებლობის განვითარების მიზნით.

25. იმ კოლმეურნეობას, რომელსაც აქვს კარგად მოწყობილი ხანძრის საწინააღმდეგო დაცვა (ბრძოლაუნარიანი სახანძრო რაზმის ყოლა, სახანძრო მანქანების და ინვენტარის კარგ მდგომარეობაში შენახვა, ცეცხლის საქრობთა ქონა, საკოლმეურნეო ქონების მუდმივი ყარაულობა და სხვა მისთ.), და აგრეთვე იმ კოლმეურნეობას, რომელიც აგებს ცეცხლმძლე შენობას, შენობისა, საწარმოს და ინვენტარის დაზღვევაზე ეძლევა შეღავათი გამოანგარიშებული სადასაზღვეო გადასახადის თანხის დაკლებით 50%-დე. ამ მონაკლების რაოდენობას ცალკეული კოლმეურნეობისათვის აწესებს სარაიონო დამზღვევი კომისია.

გ. იმ კოლმეურნეობათა შეღავათები, რომელთა შემადგენლობაშიაც შედიან სამხედრო მსახურნი, ორდენით დაჯილდოებული პირნი, ყოფილი წითელგვარდიელნი და წითელი პარტიზანი, შრომის გმირნი, გამხედროებული დაცვისა და მილიციის სამსახურში მყოფი პირნი, ინვალიდნი, კულაკური შურისძიებისაგან დაზარალებული აქტივისტების ოჯახნი და სხვ.

26. კოლექტიური მეურნეობისათვის გამოანგარიშებული სადაზღვეო გადასახადის თანხას სავსებით გამოაკლდება ის ნაწილი, რაც მოდის კოლმეურნეობის შემდეგ წევრებზე:

ა) იმ პირზე, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით, აგრეთვე შრომის გმირზე;

ბ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურზე, რომელიც ვადიან (შეუწყვეტელ) სამსახურშია ან ზევადიან სამსახურში, 1933 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფ სამხედრო მსახურზე:

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის იმ პირზე, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება, და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდელამდე ან ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის იმ სამხედრო მსახურზე, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილ წითელგვარდიელზე და წითელპარტიზანზე;

ზ) მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულების ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფ პირზე;

ი) ომისა და შრომის ინვალიდზე, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება;

კ) სოფლის იმ აქტივისტის ოჯახზე, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში;

ლ) სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ოჯახზე;

მ) კოლექტიურ მეურნეობაში მიღებულ საბავშვო სახლის მოწაფეზე და აგრეთვე აყვანილ სრულ ობოლზე.

სარაიონო საგადასახადო კომისია აწესებს, თუ რა რაოდენობით მოეხსნას კოლექტიურ მეურნეობას სადაზღვეო გადასახადი.

**შენიშვნა.** შეღავათი შეენარჩუნებათ „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ იმ სამხედრო მსახურთაც, რომელნიც დათხოვნილ არიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან 1933 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

### დ. გადასახლებულ კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

27. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც ახალ ადგილას საგეგმო წესით გადასახლდა, ეძლევა შეღავათი სადაზღვეო გადასახადის 90%-ის დაკლებით.

### ე. შეღავათები სტიქიური უბედურების გამო.

28. ისეთი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული კოლმეურნეობა, რომლისაგანაც დაზღვევა უწყებულ ადგილას არ სწარმოებს, ნაწილობრივ განთავისუფლდება ამ ადგილას შემოღებული დაზღვევის სახის სადაზღვეო გადასახადისაგან. მონაკლების რაოდენობას საზღვრავს სარაიონო საგადასახადო კომისია მიყენებული ზიანის ოდენობის მიხედვით, ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს ხვედრი სადაზღვეო გადასახადის 90%-ს.

## VI. კოლმეურნეთა, ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მშრომელთა შეღავათები.

29. სასოფლო საგადასახადო კომისიებს შეუძლიათ ნაწილობრივ განთავისუფლონ სადაზღვეო გადასახადისაგან კოლმეურნეების ცალკეული მეურნეობანი და ის ღარიბი ინდივიდუალური მეურნეობანი რომელნიც 1933 წელს განთავისუფლებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან (32 და 59 მუხლები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“—საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე 15 №-ი, მუხ. 206). ასეთ მეურნეობათა სიებს და მონაკლების რაოდენობას აწესებენ სასოფლო საგადასახადო კომისიები, და ამ სიებს სასოფლო საბჭოები წარუდგენენ დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

მონაკლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვეო გადასახადის 90%-ს.

30. შეღავათები ეძლევათ იმ მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედის:

ა) სსრ კავშირის ორდენით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და აგრეთვე შრომის გმირი;

ბ) საკადრო საშერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (შეუწყვეტელ) სამსახურშია ან ზევადიან სამსახურში, 1933 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და მუშათა და გლეხთა წითელ არმიის რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება, და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდელამდე ან ჯარს გარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი;

ზ) მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულების ოპერატიულ-საშწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფი პირი;

ი) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთნება.

ამ მეურნეობათა შეღავათების ოდენობას აწესებენ სარაიონო საგადასახადო კომისიები და საქალაქო საფინანსო ორგანოები გადასახადის 1/3-დან, ვიდრე 90%-მდე, მეურნეობის ძალოვნებისა და მასში მყოფი შრომისუნარიან პირთა მიხედვით.

**შენიშვნა.** „ბ" და „გ" პუნქტებში ჩამოთვლილ სამხედრო მსახურთ შეღავათის უფლება შეენარჩუნებათ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ისინი დათხოვნილი არიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან 1933 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

**31.** მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის სათადარიგო სამხედრო მსახური და სამხედროვალდებული, გაწვეული მათთვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე, სადაზღვეო გადასახადის იმ ნაწილის შეტანა, რომლის გადახდის ვადა მოდის სწავლებასა ან შეკრებაზე ყოფნის დროს, გადაედება ერთი თვით დღიდან დაბრუნებისა.

**32.** სრულიად განთავისუფლდება სადაზღვეო გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივისტის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

**33.** სრულიად განთავისუფლდება სადაზღვეო გადასახადისაგან ტყის იმ მომუშავის ოჯახი, რომელიც მოკლულ იქნა სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს ან სახელმწიფო ქონების დაცვისათვის თავისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან დაკავშირებით.

**34.** მეურნეობა, რომელიც დაზარალდა ისეთი სტიქიური უბედურებისაგან, რომლისაგანაც დაზღვევა უწყებულ ადგილას არ სწარმოებს, ნაწილობრივ

განთავისუფლდება ამ ადგილას მომქმედი დაზღვევის სახის სადაზღვევო გადასახადისაგან მონაკლების რაოდენობას აწესებს სარაიონო საგადასახადო კომისია იმისდამიხედვით, თუ რა ზიანი შეემთხვა მეურნეობას და რა მასშტაბისაა იგი, ხოლო ეს მონაკლები არ უნდა აღემატებოდეს სადასაზღვეო გადასახადის 90%-ს.

**35.** იმ გადასახლებულთა მეურნეობა, რომელნიც გადასახლდენ ახალ ადგილას გადასახლების წესებისამებრ,—გადასახლების პირველ წელს, და ის მცირეძალოვანი მომთაბარეთა მეურნეობა, რომელიც გადადის მკვიდრ ბინადრობაზე, განთავისუფლდებიან სადაზღვეო გადასახადის $^{1}/_{3}$-დან, ვიდრე 90%-მდე. შეღავათის ოდენობას თვითეული მეურნეობისათვის აწესებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

## VII. **სადაზღვეო გადასახადის გადამხდევინებელი ორგანოები. განცხადებებისა და საჩივრების შეტანის და განხილვის წესი.**

**36.** საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტთა აღრიცხვას, სადაზღვეო გადასახადის გამოანგარიშებას, საგანაკვეთო ფურცლების შედგენას და ჩაბარებას და სადაზღვეო გადასახადის გადახდევინებას სოფლად აწარმოებენ ის ორგანოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ამგვარივე მოვალეობანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხაზით.

საერთო თვალყურისდევნება საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარებისათვის ეკისრებათ სარაიონო დამზღვევ კომისიებს.

**37.** დამზღვევი ორგანოები პასუხს აგებენ იმისათვის, რომ დაზარალებულ მეურნეობებს თავის დროზე და სრულად მიეცეს სადაზღვეო საზღაური, რაც მათ კანონით ერგებათ, და არ იქნეს ჩადენილი ბიუროკრატული დამახინჯებანი საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების დროს.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელნი მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ დამზღვევი ორგანოების და აგრეთვე სარაიონო და სასოფლო დამზღვევი კომისიების მუშაობა.

**38.** საჩივარი სასოფლო საბჭოებისა და სასოფლო კომისიების უკანონო მოქმედებაზე სახელმწიფო დაზღვევის სფეროში შეიტანება წერილობით სარაიონო დამზღვევ კომისიაში, ხოლო სარაიონო დამზღვევი ინსპექციის და სარაიონო დამზღვევი კომისიის მოქმედებაზე—საქართველოს სსრ-ისა, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის რესპუბლიკანურ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო დამზღვევ ორგანოებში, კუთვნილებისამებრ.

**39.** თვითეული შეტანილი საჩივარი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღის ვადისა მისი მიღების დღიდან. სარაიონო საფინანსო განყოფილებათა ხელმძღვანელნი თვალყურს ადევნებენ, რათა დაცულ იქნეს შეტანილი საჩივრების განხილვის ზემოაღნიშნული ვადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII. ანარიცხები ხანძრისა, წყალდიდობისა და ოთხფეხი საქონლის გაწყდომის წინააღმდეგ საბრძოლველად და წინასწარ თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებათათვის.

**40.** შემოსული სადაზღვეო გადასახადის საერთო თანხიდან 10% გადაირიცხება ხანძრისა, წყალდიდობისა და ოთხფეხი საქონლის გაწყდომის წინასწარ თავიდან ასაცილებლად და წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ხარჯებისათვის. ამ ანარიცხების ხარჯვა შეიძლება მარტოოდენ პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

ამ თანხების გადარიცხვისა და ხარჯვის წესი მყარდება განსაკუთრებული კანონით.

## IX. საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების წესი.

**41.** საგანაკვეთო დაზღვევა ჩატარებულ უნდა იქნეს ამა დადგენილებისა, მის შესავალ ნაწილში აღნიშნული დადგენილებებისა და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესების თანახმად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1933 წლის მაისის 28-ს (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 34 №-ი, მუხ. 201-ბ), და ამ წესების განსავითარებლად გამოცემული ინსტრუქციების საფუძველზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1933 წ. აგვისტოს 2.

ტფილისი.

## დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

### საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა საქართველოს სსრ სოფლებში და ქალაქებში 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

დანართი 1.

### სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაზღვევის სადაზღვეო საზღაურის ნორმები.

| სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელწოდება | ნორმა მანეთობით ნათესის 1 ჰექტარზე | | |
|---|---|---|---|
| | კოლმეურ-ნეობანი | კოლმეურ-ნენი | ინდივიდუა-ლური მეურ-ნეები |
| 1. მარცვლეული | 75 | 60 | 60 |
| 2. ცერცვოვანი | 150 | 100 | 100 |
| 3. მზისუმზირიტა | 175 | 120 | 120 |
| 4. ნათესი ბალახები | 200 | 150 | 150 |
| 5. სასილოსო კულტურები | 75 | 60 | 60 |
| 6. ბოსტნები | 600 | 550 | 500 |
| 7. ბაღჩები | 500 | 450 | 400 |
| 8. ბაღები | 800 | 650 | 550 |
| 9. თუთის ნარგავები | 250 | 200 | 175 |
| 10. ვენახები | 1000 | 850 | 800 |
| 11. კარტოფილი | 175 | 140 | 120 |
| 12. ფესვნაყი | 175 | 140 | 120 |
| 13. ჩ ა ი | 1000 | 800 | 700 |
| 14. თამბაქო ყვითელი აფხაზეთში | 1200 | 960 | 870 |
| 15. „ „ გარდა აფხაზეთისა | 900 | 760 | 680 |
| 16. დანარჩენი კულტურები | 175 | 125 | 120 |

დანართი 2.

**სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სიკვდილისაგან დაზღვევის სადაზღვევო ხაზღაურის ნორმები.**

| ცხოველთა სახე | ნორმა მანეთობით თითო სულზე | | |
|---|---|---|---|
| | კოლმეურნეობანი | კოლმეურნენი | ინდივიდ. მშრომ. მეურნენი |
| 1. მოზარდი 1-დან 2 წლამდე | 80 | 75 | 70 |
| 2. ხარკამეჩი და ფურკამეჩი 2 წლიდან | 190 | 180 | 175 |
| 3. სხვა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 2 წლიდან | 140 | 135 | 130 |
| 4. ცხენი და აქლემი 2 წლიდან | 150 | 140 | 135 |
| 5. ვირი 2 წლიდან | 40 | 35 | 35 |
| 6. ცხვარი და თხა 6 თვიდან | 30 | — | — |
| 7. ღორი 6 თვიდან | 50 | — | — |

დანართი 3.

**სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოუსავლობისაგან დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები.**

| კულტურების სახელწოდება | ნორმა ცენტნერობით 1 ჰექტარზე | | ნორმა მანეთებით 1 ჰექტარზე | |
|---|---|---|---|---|
| | კოლმეურნეობანი | კოლმეურ. და ინდივ. მეურნ. | კოლმეურნეობანი | კოლმეურნენი და ინდივ. მეურნ. |
| 1. ბამბა | 5,0 | 4,0 | 155 | 125 |
| 2. კენაფი | 16,0 | 12,0 | 65 | 50 |
| 3. სოია | 6,5 | 4,5 | 100 | 70 |
| 4. კუნჟუთი | 3,0 | 2,5 | 90 | 80 |
| 5. აბუსალათინი | 4,0 | 3,2 | 75 | 60 |
| 6. არახისი | 6,0 | 4,5 | 650 | 500 |
| 7. სამხრეთის კანაფი | 18,0 | 14,0 | 75 | 50 |
| 8. თამბაქო აფხაზეთში | 6,0 | 5,0 | 1440 | 1200 |
| 9. „ აფხაზეთის გარეშე | 6,0 | 5,0 | 1050 | 900 |
| 10. რ ა მ ი პირველ წელს | 12,0 | — | 70 | — |
| 11. „ მეორე წელს | 24,0 | — | 140 | — |

ბიბლიოთეკა

დანართი 4.

## ხელისა და კანაფის გვალვისაგან დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები

| კულტურების სახელწოდება | | ნორმა ცენტნერობით 1 ჰექტ. — მეურნეობანი | ნორმა ცენტნერობით 1 ჰექტ. — კოლმეურნ. და ინდ. მშრ. მეურნეობანი |
|---|---|---|---|
| 1. ხელი „დოლგუნეც“ | ა) ჩალა | 15,0 | 12,0 |
| | ბ) თესლეული | 2,5 | 2,0 |
| 2. ხელი „კუდრიაშ“ | ა) თესლეული | 3,0 | 2,5 |
| 3. კანაფი | ა) ჩალა | 25,0 | 20,0 |
| | ბ) თესლეული | 2,2 | 3,4 |

დანართი 5.

## სასოფლო-სამეურნეო მცენარეების სეტყვისაგან დაზღვევის გადასახადის (ტარიფების) განაკვეთები

| სეტყვის საშიშროების ზოლები | სეტყვა-მგრძნობიარობის კლასები. სეტყვამგრძნობ. I კლასი — კოლმეურნეობათა-თვის | სეტყვამგრძნობ. I კლასი — კოლმეურნეობათათვის და ინდივ. მშრ. მეურნეობათათვის | სეტყვამგრძნობ. II კლასი — კოლმეურნეობა-თათვის | სეტყვამგრძნობ. II კლასი — კოლმეურნეობა-თვის და ინდივ. მშრ. მეურნეობათათვის | სეტყვამგრძნობ. III კლასი — კოლმეურნეობა-თათვის | სეტყვამგრძნობ. III კლასი — კოლმეურნეობათათვის და ინდივ. მშრ. მეურნეობათათვის |
|---|---|---|---|---|---|---|
| I | 1,3 | 1,5 | 2,1 | 2,8 | 2,9 | 4,0 |
| II | 1,7 | 2,3 | 2,9 | 4,0 | 3,7 | 5,3 |
| III | 2,1 | 2,8 | 3,9 | 4,0 | 4,6 | 6,3 |
| IV | 2,6 | 3,6 | 4,6 | 6,3 | 5,1 | 7,6 |

შენიშვნა. 1. სეტყვამგრძნობიარობის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყოფა კლასებად შემდეგნაირად:

I კლასი: სიმინდი, ფესვნარი და ბოლქოვანი (საქონლის საკვები და ბოსტნის ჭარხალი, კარტოფილი, მიწივაშლა, თალგამი), საკვები ბალახები

მუხ. 267  № 19

(იონჯა, „ტიმოთეს ბალახი"), ჭვავი, ხორბალი, ქერი, შვრია, ასლი, ჩალა-მაქა-რა, ღომი, ფეტვი, მარცვალ-ცერცვოვანი (მუხუდო, ლობიო, ცერცვი, ვიკი, ფასოლი); სუდანის ბალახი;

II კლასი: უგრეხელა, ბრინჯი, მარცვლოვანი, ზეთოვანი (მზესუმზირა, კუნჯუთი, აბუსალათინი, ხაშხაში), ბაღჩები და ბოსტნის კულტურები (საზამთრო, ნესვი, გოგრა, კიტრი, პამიდორი), ბოჭკოვანი (ბამბა, სელი, კანაფი, გოგ-ში), სამკურნალო მცენარეები, ლუფა;

III კლასი: ხილი, ხმილი, ყურძენი, თამბაქო, სვია, თუთა, ხილეულ-ხმილეული სანერგების ნარგავები, ჩაისა და მანდარინის პლანტაციები.

**შენიშვნა 2.** სეტყვის საშიშროების მხრით საქართველოს ტერიტორია ოთხ ზოლად იყოფა:

I ზოლი: რაიონები: ჭიათურის, ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ხობის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და აჭარისტანის ავტ. სსრ;

II ზოლი: რაიონები: ტფილისის, მცხეთის, საგარეჯოს, ალბულახ-მანგლისის, წალკის, ყარაიას, ბალდადის, წალენჯიხის და ჩოხატაურისა;

III ზოლი: რაიონები: ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, კასპის, ხარაგოულის, ზესტაფონის, ჩხარისა და აფხაზეთის ავტ. სსრ;

IV ზოლი: რაიონები: დუშეთის, ყაზბეგის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, გორის, სტალინისის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ტოლოშის, ბოგდანოვკის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ქვემო-სვანეთისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი.

დანართი 6.

**სახოფლო-სამეურნეო მცენარეების მოუსავლობისაგან დაზღვევის გადასახადის განაკვეთები (ტარიფები)**

| კულტურების სახელწოდება | კოლმეურნეობანი | კოლმეურ. და ინდვიდ. მშრ. მეურნენი |
|---|---|---|
| 1. ბამბა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 2,4 | 3,6 |
| 2. სოია, კენაფი, აბუსალათინი . . . . . . . . . . | 4,8 | 7,56 |
| 3. არახისი, კუნჯუტი, სუძა . . . . . . . . . . . | 6,0 | 8,4 |
| 4. თამბაქო . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 3,6 | 4,8 |
| 5. რ ა მ ი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 4,4 | — |

დანართი I.

**სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სიკვდილისაგან დაზღვევის პასუხისმგებლობის განაკვეთები (ტარიფები)**

ბიბლიოთეკა

| ცხოველთა სახელწოდება | კოლმეურნეობისათვის | კოლმეურნეებისა და ინდივიდ. მშრომ. მეურნეებისათვის | |
|---|---|---|---|
| | სოფლად და ქალაქად | სოფლად | ქალაქად |
| 1. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი . . . . . . . . | 2,6 | 4,7 | 4,7 |
| 2. ცხენი, აქლემი, ვირი . . . . . . . . . . . . . . | 5,5 | 8,2 | 9,0 |
| 3. თხა და ცხვარი . . . . . . . . . . . . . . . . | 6,0 | — | — |
| 4. ღ ო რ ი . . . . . . . . . . . . . . . . . . | 7,0 | — | — |

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 183 №-ში 1933 წ. აგვისტოს 10.

---

## 268. დადგენილება

**1934 წლისთვის თამბაქოს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმების შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1934 წლისთვის მოუსავლობისაგან სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმების მე-8 პუნქტის სათანადო ნაწილის შესაცვლელად (დანართი მე-3 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 2-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1934 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“—„კომუნისტის“ 1933 წ. 183 №-ი; საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 19, მუხ. 267)—დაწესებულ იქნეს 1934 წლისთვის თამბაქოს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის შემდეგი ზღვრული ნორმები ცენტნერობით ერთ ჰექტარზე:

| | კოლმეურნეობანი | კოლმეურნენი და ინდივ. მეურნეები |
|---|---|---|
| თამბაქო აფხაზეთში . . . . . . . . | 5,8 | 4,8 |
| „ აფხაზეთის გარეშე . . . . | 6,6 | 5,5 |

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. აგვისტოს 20.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 193 №-ში 1933 წ. აგვისტოს 22.

**ფასი 40 კაპ.**

მთავლიტი № 1059. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა შეკ. № 1451 ტირაჟი 1.500

ეროვნული ბიბლიოთეკა